საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ლონდონი

ლონდონი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის **გაერთიანებული სამეფოს** დედაქალაქია. გაშენებულია მდინარე ტემზაზე. იგი 2 ათას წელზე მეტი ხნის წინ დააარსეს რომაელებმა. დღეს ქალაქის მოსახლეობა 8 მილიარდზე მეტია. წელიწადის ყველა დროს ქალაქი გახვეულია სქელ ნისლში. აქ ხშირად წვიმს. მიუხედავად ასეთი კლიმატისა, ლონდონს ყოველ წელს მილიონობით ტურისტი სტუმრობს. აქ ყველას უძველესი ისტორიული ძეგლები და თანამედროვე ტექნიკის საოცრებები იზიდავს.

ლონდონის ერთ-ერთი ისტორიული ადგილია მე-11 საუკუნეში აგებული ციხესიმაგრე - **ლონდონის ტაუერი.** საუკუნეების განმავლობაში მას ხან იარაღის საწყობად, ხან საპატიმროდ იყენებდნენ. იყო პერიოდი, როდესაც ტაუერში ოქროს მონეტებს ჭრიდნენ და სამეფო საგანძურს ინახავდნენ. დღეს აქ მუზეუმია, სადაც მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ოქროს სამკაულებია გამოფენილი.

უცხოელებს მეტად იზიდავთ მე-19 საუკუნეში აგებული **ტაუერის ხიდი.** ის ლონდონის ისეთივე სიმბოლოა, როგორც პარიზისთვის ეიფელის კოშკი. გარდა იმისა, რომ ლამაზია, ხიდს თავისებური აგებულება აქვს. ის აწევისას ორად იყოფა და ამას წუთზე მეტი დრო არ სჭირდება. მისი თითოეული მოძრავი ნაწილი 1200 ტონას იწონის. გემების გასვლის შემდეგ ხიდი იხურება. ხიდის გახსნისა და დაკეტვის პროცესი საოცარი სანახაობაა. მას უამრავი ადამიანი ინტერესით ადევნებს თვალს.

საათის კოშკი **ბიგ-ბენი** პარლამენტის აღმოსავლეთით მდებარეობს. კოშკზე 1858 წელს იმ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე დიდი საათი დამონტაჟდა. უცხოელ სტუმრებს აქ შესვლის უფლება არ აქვთ.

LIVEWORKSHEETS

ცნობილია, რომ **ტრაფალგარის** მოედანს ლონდონის გულს უწოდებენ. მისი მშენებლობა საფრანგეთის ფლოტზე ადმირალ ნელსონის გამარჯვებას მიეძღვნა. მოედნის შუაში ნელსონის ძეგლი დგას. აქვეა ულამაზესი შადრევანი, სხვა სახელოვანი ადამიანების ძეგლები. ტრაფალგარის სკვერის კუთხეში ეროვნული გალერეაა. იქ შესვლა უფასოა.

ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებიდან გამოირჩევა **ბუკინგემის სასახლე**. იგი ინგლისის დედოფლის რეზიდენციაა. ერთსა და იმავე დროს სასახლესთან ყოველდღე იმართება საპატიო ყარაულის შეცვლის ცერემონია. ეს სანახაობა მეტად მოსწონთ ტურისტებს.

მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია **გრინვიჩის სამეფო ობსერვატორია,** რომელიც მე-17 საუკუნეში აშენდა.

ლონდონში მდებარეობს **ბრიტანეთის მუზეუმი.** ის ცნობილია თავისი უნიკალური კოლექციით. აქ ქალაქის სტუმრებს რამდენიმე მილიონი ექსპონატის ნახვა შეუძლიათ.

თანამედროვე ლონდონის თვალია უნიკალური **კარუსელი - ეშმაკის ბორბალი.** ის გასული საუკუნის ბოლოს ააგეს. 135 მეტრი სიმაღლის კარუსელი ერთ ბრუნს ნახევარ საათს ანდომებს. ეშმაკის ბორბალს წელიწადში უამრავი ადამიანი სტუმრობს.

ლონდონის მეტრო პირველი და ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. ქალაქში თავმოყრილია მსოფლიოში ცნობილი კომპანიების ოფისები, ბანკები, რამდენიმე ასეული უმაღლესი სასწავლებელი, მრავალი თეატრი და სხვა დაწესებულება. ლონდონი აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქალაქად.

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. რას ვიგებთ ტექსტის პირველი აბზაციდან?

ა) როდის დაარსდა ქალაქი ლონდონი.

ბ) როდის იქცა ლონდონი ბრიტანეთის დედაქალაქად.

გ) რომელმა პიროვნებამ დააარსა ლონდონი.

LIVEWORKSHEETS

2. რა ინფორმაციას გვაწვდის ტექსტის მეორე აბზაცი?

ა) რა დანიშნულება აქვს დღეს ლონდონის ტაუერს.

ბ) რა იყო ტაუერის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია.

გ) რატომ იცვლებოდა ასე ხშირად ტაუერის დანიშნულება.

3. რატომ იზიდავთ უცხოელებს ტაუერის ხიდი?

ა) ხიდის გახსნისა და დაკეტვის სანახაობა ძალიან ლამაზია.

ბ) ხიდის თითოეული მოძრავი ნაწილი 1 200 ტონას იწონის.

გ) ხიდის მძიმე ნაწილების აწევას მცირე დრო სჭირდება.

4. ლონდონის სიმბოლოდ ითვლება:

ა) კარუსელი - ეშმაკის ბორბალი.

ბ) ლონდონის ტაუერი.

გ) ტაუერის ხიდი.

5. ლონდონის რომელი ნაგებობა ითვლება მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად?

ა) გრინვიჩის ობსერვატორია.

ბ) პარლამენტის შენობა.

გ) ტრაფალგარის მოედანი.

6. რით არის ცნობილი ლონდონის მეტრო?

ა) ის მსოფლიოში უძველესი მეტროა.

ბ) ის ყველაზე დიდია მსოფლიოში.

გ) მას გრძელი ესკალატორები აქვს.

LIVEWORKSHEETS